უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა“

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

26.01.2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ხათუნა

გვარი: საგანელიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი**
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**201951637**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	**მედიცინა** **Medicine**
2	უმაღლესი განათლების საფეხური	**ერთსაფეხურიანი**
3	კვალიფიკაციის დონე[2]	**VII**
4	კვალიფიკაციის დასახელება	**დიპლომირებული მედიკოსი** **Medical Doctor /MD**
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	**0912** **მედიცინა**
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	360
9	განხორციელების ადგილი[5]	**ჩარგლის ქუჩა # 73 ,** **ნაძალადევის რაიონი,** **თბილისი,** **სასწავლო კორპუსი N 1** **0141** **საქართველო**
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	**აკრედიტაცია,** **MES 9 21 0000706152** **13.07.2021**
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	**29.06.2021**
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის	**6 თვე, 29.12.2021**

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

	წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	29.06.2028

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[9]

1. რეკომენდებულია იქონიოთ არგუმენტირებული პოზიცია დამატებით ECTS კრედიტებთან დაკავშირებით და მკაფიოდ გამოიკვეთოს ECTS–ი განაწილების სპეციფიკა, მისი როლი პროგრამაში და თუ როგორ უნდა იყოს იგი მართული დროში. ეს ინფორმაცია გამჭვირვალე და მკაფიო უნდა იყოს ასევე სტუდენტებისათვისაც;
2. ზოგადი ქირურგიის საკონტაქტო საათების გაზრდა, რათა უკეთ იქნას ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი მოცული;

[9]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

3. სწავლის შედეგების მისაღწევად, რომლებიც შემუშავებულია მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის ბოლო ვერსიაში, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში ნათლად იქნეს მოცული შესაძლებლობები პიროვნული (soft skills) და ტრანსფერული უნარების შესახებ (განსაკუთრებით პროფესიონალიზმზე, კლინიკურ არგუმენტაციასა და გადაწყვეტილების მიღებაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე) დიდაქტიკური სესიები/კურსების ან/და თითქმის ყველა კურსში ინტეგრირებული თემების საშუალებით;
4. პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, კლინიკებთან მემორანდუმებში უნდა მიეთითოს კლინიკური კურსების სახელწოდება;
5. გაუმჯობესდეს კლინიკურ გარემოში სწავლის, სწავლების მეთოდები;
6. სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს საფუძლიანი რევიზია კლინიკურ როტაციებში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდებისა, როგორებიცაა პორტფოლიო მსგავსი სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება;
7. სწავლის შედეგების მიღწევის უფრო ზუსტი შეფასებისთვის, პროგრამის კლინიკურ სასწავლო კურსებში სასურველია კომპონენტებისა და შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საგანმანათლებლო პროგრამას, აკრედიტაციის საბჭოს მიერ MES 9 21 0000706152 13.07.2021 გადაწყვეტილებით, მიენიჭა 7 წლიანი აკრედიტაცია, 6 თვის შემდეგ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით. უმაღლესი დაწესებულების მიერ 27.12.2021 წარმოდგენილი იქნა ანგარიში, უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. ანგარიშში აღწერილია რეკომენდაციის შესრულებაზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირები და მათი კონკრეტული დავალებები და მოვალეობები. თითოეულ პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილია შესრულებული სამუშაო ანგარიშის სახით, ხოლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რეკომენდაციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, გადამოწმებულ იქნა მონაწილე ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. შედეგად მოხდა ანგარიშის ფორირება და წარდგენა.

რჩევ(ებ)ი[8]

1. კურსების სილაბუსებში სტუდენტებს მიეთითოს სახელმძღვანელოების უფრო ახალი გამოცემები;
2. მემორანდუმებში მიეთითოს სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც გაივლიან სტაჟირებას კლინიკაში;
3. საგნის სპეციფიკის შესაბამისად მოხდეს საბაზისო სასწავლო კურსების შეფასების სისტემის დივერსიფიკაცია;
4. სტუდენტთა სერვისების სისტემას დაემატოს მომსახურების ფუნქციები;
5. გაფართოვდეს ინტერნაციონალიზაციის პროცესი, მეტი გაცვლითი პროგრამა გახდეს ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის;
6. სასურველია უნივერსიტეტმა მეტი გამჭვირვალობისთვის მკაფიოდ განსაზღვროს

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის კრიტერიუმები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებისათვის, როდესაც არჩევა ხდება განსხვავებული წესით;

7. მიზანშეწონილია ბეჭდური სახელმძღვანელოების ჩანაცვლება უფრო ახალი ან უახლესი გამოცემებით;
8. სასურველია გადაიხედოს ბიუჯეტი და თანხები გადანაწილდეს პრიორიტეტებისა და საჭიროებების შესაბამისად, მაგალითად, ლაბორატორიისთვის, აგრეთვე მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისტრენინგებისათვის გამოყოფილი წლიური დაფინანსების ოდენობა და ა.შ.;
9. თვითშეფასების ანგარიშში იმ აქტივობების უკეთ აღწერა, რომლებიც კსუ-მ განახორციელა გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების გამოყენებით. მაგალითად, უფრო დეტალური ინფორმაცია კსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის უცხოელი ექსპერტის ვიზიტის შესახებ

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

საგანმანათლებლო პროგრამას, აკრედიტაციის საბჭოს მიერ MES 9 21 0000706152 13.07.2021 გადაწყვეტილებით, მიენიჭა 7 წლიანი აკრედიტაცია, 6 თვის შემდეგ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით. უმაღლესი დაწესებულების მიერ 27.12.2021 წარმოდგენილი იქნა ანგარიში, უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. ანგარიშში აღწერილია რჩევების შესრულებაზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირები და მათი კონკრეტული დავალებები და მოვალეობები. თითოეულ პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილია შესრულებული სამუშაო ანგარიშის სახით, ხოლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რჩევების გათვალისწინების მიზნით, გადამოწმებულ იქნა მონაწილე ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. შედეგად მოხდა ანგარიშის ფორმირება და წარდგენა.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	**2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება[13]	**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია იქონიოთ არგუმენტირებული პოზიცია

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

	დამატებით ECTS კრედიტებთან დაკავშირებით და მკაფიოდ გამოიკვეთოს ECTS–ი განაწილების სპეციფიკა, მისი როლი პროგრამაში და თუ როგორ უნდა იყოს იგი მართული დროში. ეს ინფორმაცია გამჭვირვალე და მკაფიო უნდა იყოს ასევე სტუდენტებისათვისაც;
შეფასება	რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უსდ-ს აკადემიური პერსონალის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ იქნა გადაწყვეტილება მიღებული პროგრამის ECTS კრედიტების შემცირების თაობაზე. კერძოდ პროგრამის 364 ECTS შემცირდა და გახდა 360 ECTS. კრედიტების შემცირება მოხდა კონკრეტული სასწავლო კურსების ხარჯზე: • "ინგლისური ენა მედიკოსებისთვის-1"; • "ინგლისური ენა მედიკოსებისთვის-3"; • „სამეცნიერო კვლევის საფუძვლები“; • " რეგიონული ანატომია ქირურგიის საბაზისო უნარებით". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ცვლილება არ ახდენს პროგრამის შედეგების მიღწევაზე გავლენას. შესაბამისად რეკომენდაცია ითვლება შესრულებულად.
რჩევა[15]I	კურსების სილაბუსებში სტუდენტებს მიეთითოს სახელმძღვანელოების უფრო ახალი გამოცემები
შეფასება	რეკომენდაციის თანახმად სასწავლო კურსების სილაბუსბში მოხდა ძირითადი ლიტერატურის ცვლილება და დაემატა ახალი გამოცემები.
მტკიცებულებ(ები)ა	➢ მოდიფიცირებული სილაბუსები "ინგლისური ენა მედიკოსებისთვის-1"; "ინგლისური ენა მედიკოსებისთვის-3"; „სამეცნიერო კვლევის საფუძვლები“; " რეგიონული ანატომია ქირურგიის საბაზისო უნარებით". ➢ უსდ-ს ანგარიში ➢ სასწავლო კურსბის სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**
რეკომენდაცია II[16]	ზოგადი ქირურგიის საკონტაქტო საათების გაზრდა, რათა უკეთ იქნას ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი მოცული
შეფასება	რეკომენდაციის თანახმად და სასწავლო კუსრსის „ზოგადი

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ქირურგია“ სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, უსდ-ს აკადემიური გუნდის გადაწყვეტილებით, საკონტაქტო საათები გაიზარდა. შესაბამისად დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათები შემდეგნაირად გადანაწილდა: ლექცია 14; სემინარი 13 სთ, პრაქტიკული მეცადინეობა 40 სტ, პრეზენტაცია 3 სთ, გამოცდები 3 სთ. დამოუკიდებელი მუშაობა 77 სთ. უსდ-ს მიერ გათვალისწინებულია რეკომენდაცია
რჩევა[17]II	მემორანდუმებში მიეთითოს სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც გაივლიან სტაჟირებას კლინიკაში
შეფასება	უნივერსიტეტის მიერ შემუშავდა კლინიკებთან „დამატებითი შეთანხმების ფორმა“, სადაც დაკონკრეტებულია ინფორმცია სასწავლო კურსების და სტუდენტების რაოდენობისს შესახებ. აღნიშნული დოკუმნენტის ხელმოწერა კლინიკებთან ხორციელდება ეტაპობრივად.
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კუსრსის „ზოგადი ქირურგია“ სილაბუსი კლინიკებთან „დამატებითი შეთანხმების ფორმა“ უსდ-ს ანგარიში
სტანდარტის დასახელება	**სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**
რეკომენდაცია III	სწავლის შედეგების მისაღწევად, რომლებიც შემუშავებულია მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის ბოლო ვერსიაში, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში ნათლად იქნეს მოცული შესაძლებლობები პიროვნული (soft skills) და ტრანსფერული უნარების შესახებ (განსაკუთრებით პროფესიონალიზმზე, კლინიკურ არგუმენტაციასა და გადაწყვეტილების მიღებაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე) დიდაქტიკური სესიები/კურსების ან/და თითქმის ყველა კურსში ინტეგრირებული თემების საშუალებით
შეფასება	უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარშში ასახული ინფორმაციის თანხმად, საგანმანათლებლო პროგრამაში არსებულ სწავლა-სწალების მეთოდებს, რომლებიც მიმართულია პროგრამის შედეგების მიღწევისკენ (პროფესიონალიზმი, კლინიკურ არგუმენტაციასა და გადაწყვეტილების მიღებაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა), დაემატა ტელემედიცინის კომპონენტი. აღნიშნული სიახლე სტუდენტებს საშუალებას აძლევს კომპიუტერული და უახლესი კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით, განიხილონ კლინიკური შემთხვევები, მონაწილეობა მიიღონ დიაგნოსტიკის და მკურნალობის ტაქტიკის შერჩევაში და დახვეწონ კლინიკური აზროვნების უნარი. ამავე დროს, აღნიშნული კომპონენტის დამატება ემსახურება ტრანსფერული უნარების განვითარებას. რეკომენდაცია უსდ-ს მიერ შესრლებულია
რჩევა III	საგნის სპეციფიკის შესაბამისად მოხდეს საბაზისო სასწავლო კურსების შეფასების სისტემის დივერსიფიკაცია

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია დეტალური აღწერა საბაზისო სასწავლო კურსების შეფასების სისტემის კომპონენტების და კრიტერიუმების შესახებ, რომელიც არსებობდა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებამდე. ხოლო რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით, რიგ სილაბუსებში დაემატა „პროფესიონალიზმის“ შეფასების კომპონენტი.
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსების/მოდულების სილაბუსები პროფესიონალიზმის შეფასების მექანიზმი უსდ-ს ანგარიში ფოტომასალა
სტანდარტის დასახელება	**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.**
კომპონენტის დასახელება	**4.3. მატერიალური რესურსი.**
რეკომენდაცია IV	პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, კლინიკებთან მემორანდუმებში უნდა მიეთითოს კლინიკური კურსების სახელწოდება
შეფასება	უნივერსიტეტის ასახული ინფორმაციის თნახმად, „უშუალოდ კლინიკური სწავლების დაწყების წინ ფორმდება დამატებითი შეთანხმება, სადაც ხდება დაკონკრეტება, თუ რომელი კლინიკური საგანი უნდა გაიარონ სტუდენტებმა აღნიშნულ კლინიკაში, რა ვადებში უნდა მოხდეს სწავლება და რამდენი სტუდენტია დაშვებული კონკრეტულ სასწავლო კურსსა თუ მოდულზე. უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ ეს გადაწყვეტილება (არა საწავლო წლის დაწებამდე შეთანხმება, არამედ კონკრეტული როტაციის დაწყებამდე) უკავშირდება არსებული პანდემიის სიტუაციას და შესაბამისად მოცემულობა და გარემოება ცვალებადია. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე შეიძლება ჩაითვალოს, რომ რკომენდაცია უნივერიტეტის მიერ ნაწილობრივ შესრულებულია.
რჩევა IV	სტუდენტთა სერვისების სისტემას დაემატოს მომსახურების ფუნქციები
შეფასება	უსდ-ს მიერ მოხდა ცნობების მოთხოვნა-გაცემის, განცხადებების მიღების და დოკუმეტების გაცემის ელექტრონული წარმოება. განხორციელდა სტუდენტებს სასწავლო ბარათში ინფორმაციის უფრ თვალნათლივ ასახვა. შემუშავდა moodle-ში გამოცდების ჩატარების წესი, სადაც დეტალურად გაიწერა პროცედურები, თუ რა შემთხვევებში ხდება გაცდენილი გამოცდის აღდგენა.
მტკიცებულებ(ები)ა	უსდ-ს ანგარიში დამათებითი შეთანხმების ფორმა სტუდენტის ახალი სასწავლო ბარათი „moodle-ში გამოცდების ჩატარების წესი“
სტანდარტის დასახელება	**სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	2.5. **სწავლება-სწავლის მეთოდები**
რეკომენდაცია V	გაუმჯობესდეს კლინიკურ გარემოში სწავლის, სწავლების მეთოდები
შეფასება	უსდ ეთანხმება რეკომენდაციას და ანგარიშში აღწერს სტუდენტის კლინიკურ გარემოში სწავლების აუცილებლობას და მის მნიშვნელობას. წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, „მეშვიდე სემესტრიდან იწყება სწავლების კლინკური ეტაპი და

	სწავლება მიდინარეობს ძირითადად კლინიკური როტაციების მეშვეობით. სწავლებისათვის ყველა კლინიკურ საგანში გამოიყენება რელევანტური მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სემინარი, პაციენტის საწოლთან სწავლება (bedside teaching) და ა.შ.“, თუმცა კონკრეტული ინფორმაცია და მტკიცებულება თუ რა ნაბიჯები გადაიდგა, აკრედიტაციის სააჭოს მიერ გაცემული რეკომენდციის შემდეგ ვერ იდენტიფიცირდება წარმოდგენილ დოკუმენტციაში.
რჩევა V	გაფართოვდეს ინტერნაციონალიზაციის პროცესი, მეტი გაცვლითი პროგრამა გახდეს ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის
შეფასება	უსდ-ს მიერ გაფართოვდა საერთაშორისო ურთიერთობები, თუმცა პანდემიით გამოწვეულმა სიტუაციამ დროებით შეაფერხა ბევრი პროექტი, მათ შორის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართულობა. უსდ-მ ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაფართოებისა და სასწავლო პროცესში უცხოელ პროფესორთა ჩართვის მიზნით, იტალიიდან მოწვეული იქნა პროფესორი, რომელმაც მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ჩაატარა საჯარო ლექციათა ციკლი თემაზე: “გულის სარქვლოვანი დაავადებები“.
მტკიცებულებ(ები)ა	ფოტომასალა „მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების საერთაშორისო აქტივობებში ჩართვის მაჩვენებლის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა“ საერთაშორისო მემორანდუმების
სტანდარტის დასახელება	**სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.6. სტუდენტების შეფასება**
რეკომენდაცია VI	სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს საფუძლიანი რევიზია კლინიკურ როტაციებში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდებისა, როგორებიცაა პორტფოლიო მსგავსი სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება
შეფასება	აკრედტაციის საბჭოს რეკომენდაციის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გაუმჯობესების მიზით, საპილოტე რეჟიმში გარკვეულ კურსებზე მოხდა პროფესიონალიზმის შეფასების დანერგვა. თავდაპირველად შემუშავდა და გაიწერა პროფესიონალიზმის შესაფასებელი კრიტერიუმები - როგორც ზოგადი, ასევე საგნის შესაბამისი პროფესიული უნარები. ინფორმაცია მიეწოდა ყველა დაინტერესებულ მხარეს. მიღებული შედეგები დამუშავებული იქნა სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ და გაიცა რეკომენდაციები. ასევე მედიცინის ფაკულტეტის მიერ დაიგეგმა „პორტფოლიოს“ კომპონენტის დამატება. ამისათვის უნივერსიტეტმა შეიმუშავა „პორტფოლიოს გზამკვლევი“, სადაც დეტალურად არის გაწერილი პორტფოლიოს მიზანი, ამოცანები და მეთოდები, ასევე ზოგადი ინსტრუქცია. გარდა ამისა, ორ სასწავლო მოდულს „ნერვული სისტემის

	დაავადებები“ და „ალერგოლოგია“ შედეგების შეფასებას, დაემატა MINI-CEX ტიპის გამოცდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია აკადემიური საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია.
რჩევა VI	სასურველია უნივერსიტეტმა მეტი გამჭვირვალობისთვის მკაფიოდ განსაზღვროს აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის კრიტერიუმები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებისათვის, როდესაც არჩევა ხდება განსხვავებული წესით
შეფასება	ანგარიშში აღწერილია აკრედიტაციის საბჭომდე არსებული მდგომარეობა
მტკიცებულებ(ები)ა	პორტფოლიოს გზამკვლევი „სამედიცინო ბიოეთიკაში“ პროფესიონალიზმის შეფასების მექანიზმები და შეფასების შედეგები; „ზოგად ქირურგიაში“ პროფესიონალიზმის შეფასების მექანიზმები და შეფასების შედეგები; „მოდულში: გულ-სისხლძარღვთა და სისხლის სისტემის დაავადებათა საფუძვლები“ პროფესიონალიზმის შეფასების მექანიზმები და შეფასების შედეგები მინი-კლინიკური გამოცდის შეფასების მექანიზმები და შეფასების შედეგები: „მოდულში: ნერვული სისტემის დაავადებები“ შეფასების მექანიზმები; „ალერგოლოგიაში“ შეფასების მექანიზმები; „მოდულში: ნერვული სისტემის დაავადებები“ და „ალერგოლოგიაში“ მინი კლინიკური გამოცდის შეფასების შედეგები.
სტანდარტის დასახელება	**სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდეტის შეფასება
რეკომენდაცია VII	სწავლის შედეგების მიღწევის უფრო ზუსტი შეფასებისთვის, პროგრამის კლინიკურ სასწავლო კურსებში სასურველია კომპონენტებისა და შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება
შეფასება	უსდ-ს მიერ გადაიხედა საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები და მასში ასახული შეფასების კრიტერიუმები, შემუშავდა ე.წ. სამაგალითო „ჩექ-ლისტები“, ასევე ორ სასწავლო კურსს, კლინიკური უნარების შეფასების მიზნით, დაემატა მინი-კლინკური გამოცდა, რომელიც კლინიკური უნრების შეფასების საშუალებას იძლევა. განხორციელებული ცვლილებები ადასტურებს უსდ-ს მიერ რეკომენდციის შესასრულებლად გადადგმულ ნაბიჯებს.
რჩევა VII	მიზანშეწონილია ბეჭდური სახელმძღვანელოების ჩანაცვლება უფრო ახალი ან უახლესი გამოცემებით;
შეფასება	უნივერსიტეტის მიერ შეძენილია 35 დასახელების სავალდებულო და დამხმარე სამედიცინო ლიტერატურა, რომლებითაც განახლდა სასწავლო კურსების / მოდულების სილაბუსები. სამედიცინო ლიტერატურის შესაძენად თანხები

	გათვალისწინებულია 2022 წლის მედიცინის ფაკულტეტისა და მედიცინის პროგრამის ბიუჯეტებშიც.
მტკიცებულებ(ები)ა	OSCE-ს საგამოცდო „check-list" -ები სილაბუსები 2022 წლის მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტი; 2022 წლის მედიცინის პროგრამის ბიუჯეტი; 2021 წლის ივლისიდან შემენილი მედიცინის ლიტერატურა
რჩევა VIII	სასურველია გადაიხედოს ბიუჯეტი და თანხები გადანაწილდეს პრიორიტეტებისა და საჭიროებების შესაბამისად, მაგალითად, ლაბორატორიისთვის, აგრეთვე მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგებისათვის გამოყოფილი წლიური დაფინანსების ოდენობა და ა.შ.;
შეფასება	უსდ-ს მიერ გათვალისწინებულია 2022 ბიუჯეტში თანხების გადანაწილება პრიორიტეტების მიხედვით. ანგარიშში დეტალურად არის წარმოდგნელი თანხების ოდენობა თითოეული კომპონენტისთვის.
მტკიცებულებ(ები)ა	2022 წლის მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტი; 2022 წლის მედიცინის პროგრამის ბიუჯეტი.
რჩევა IX	თვითშეფასების ანგარიშში იმ აქტივობების უკეთ აღწერა, რომლებიც კსუ-მ განახორციელა გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების გამოყენებით. მაგალითად, უფრო დეტალური ინფორმაცია კსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის უცხოელი ექსპერტის ვიზიტის შესახებ
შეფასება	უსდ-ს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში აღწერილია, როგორც აკრედიტაციის მინიჭებამდე არსებული მდგომარეობა, ისე რეკომენდაციის შემდეგ განხორციელებული აქტივობები. ასევე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შედეგად მოდიფიცირებული, მედიცინის ქართულენოვანი პროგრამის გარე შეფასება უსდ-ს მიერ გაგზავნილი იქნა სან რაფაელის საავადმყოფოს (იტალია, მილანი) კარდიო-თორაკო-ვასკულური დეპარტამენტის პროფესორ ე. აგრიქოლასთვის, რომელმაც მედიცინის მოდიფიცირებული პროგრამა დადებითად შეაფასა და ოფიციალურ დოკუმენტს უახლოეს მომავალში წარუდგენს უნივერსიტეტს.
მტკიცებულებ(ები)ა	უსდ-ს ანგარიში ფოტომასალა

თანდართული დოკუმენტაცია[18]

ექსპერტის ხელმოწერა

[18]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა